ბუმერანგის ეფექტი - Boomerang effect - Эффект бумеранга

სხვათა **დამოკიდებულების შეცვლა** (გადახრა) დაგეგმილის (გამიზნულის, მოსალოდნელის) საპირისპირო მხარეს; უკუქმედება; **ატიტუდის შეცვლა** – ნეგატიური. **ბე** წარმოიქმნება ხოლმე სხვა ადამიანების დამოკიდებულებებზე, გეგმებზე, შეხედულებებზე გავლენის მოხდენის მოუზომავი, ტლანქი მცდელობის შედეგად. მაგ., ექიმის ან თანამდებობის პირის მიერ დამშვიდების მიზნით ნათქვამმა შეიძლება პირიქით, შეშფოთება გამოიწვიოს; ანდა სარეკლამო აგენტის ზედმეტმა მოწადინებამ გაღიზიანება გამოიწვიოს. ძალიან ხშირია მშობლისა თუ მასწავლებლის შეგონებათა მიერ გარდატეხის ასაკის მოზარდის გაღიზიანება და ჯინიანი უკუქმედების გამოწვევა.